

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ქოქრაშვილის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ შპს „მეტეხის კარამიკა“-ს გენერალური დირექტორი დავით ჩიტაშვილი (შემდგომში „შემსრულებელი“), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევასზე:

ა) საწარმოო პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს შემკვეთის მიერ საწარმოო პრაქტიკაზე გაგზავნილი 10 სტუდენტი შემდეგი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით: „სახმელეთო სატრანსპორტო-ტექნოლოგიური საშუალებები“.

ბ) შემსრულებელი პრაქტიკანტ სტუდენტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალ დონეზე გატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას;

### 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. შემსრულებელი:

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით: \_\_\_\_\_

2.1.2. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემკვეთთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალ დონეზე შესრულება;

2.1.3. თუ შესრულებული სამუშაო არაა დამაკმაყოფილებელია, შემსრულებელი ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი შემკვეთის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემკვეთს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

2.2. შემკვეთი:

2.2.1. შემსრულებელს მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

**3. შემსრულებლის მომსახურების ანაზღაურების წესი**

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება საწარმოო პრაქტიკა წარიმართება ანაზღაურების გარეშე. წლიური მოცულობით 60 საათი, რომელიც შეიძლება შეეცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

**4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

4.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხემოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

**5. სხვა პირობები**

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**6. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები**

შემსრულებელი :

დამკვეთი :


შპს "მეტეხის კერამიკა"-ს  
გენერალური დირექტორი

სსიპ საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი

კოსტავას ქ. 77, ს/კ 211349192

სს "თი ბი სი ბანკი"

ხელმოწერა:



ქ. ქოქრაშვილი

საქმის ხელმოწერა  
სსიპ-ის  
ქ. ქოქრაშვილი

Handwritten signature at the bottom right.